ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი 04. 04 2019 წ.

ჩვენ, ერთი მხრივ, *შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებელი“*, წარმოდგენილი მისი რექტორის *თამარ გარდაფხაძის* სახით, და მეორე მხრივ, **შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის“**, წარმოდგენილი მისი რექტორის გიორგი მათიაშვილის სახით, ვაცნობიერებთ რა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას, მიზნებსა და ამოცანებს, კეთილი ნების საფუძველზე გამოვთქვამთ მზადყოფნას ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ურთიერთთანამშრომლობის მიზანი

1. მხარეთა შორის ურთიერთთანამშრომლობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემის, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებს. მხარეები იღებენ ვალდებულებას უმაღლესი განათლების საერთო მოთხოვნებიდან გამომდინარე, განახორციელონ ერთობლივი საქმიანობა ამ მემორანდუმის ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2. თანამშრომლობის სფერო

1. მხარეები, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში, სტუდენტის თეორიული და პრაქტიკული მომზადების ხელშეწყობის მიზნით, თანხმდებიან შემდეგი სახის თანამშრომლობაზე:

- აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობისა და მართვის გამოცდილების ურთიერთგაზიარება;
- ერთობლივი სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებების და სხვა აქტივობების (კვლევითი პროექტების, კონფერენციების, პრაქტიკული სემინარების, ოლიმპიადების, სიტუაციური თამაშების, საჯარო ლექციების, გასვლითი სემინარების, იმიტირებული პროცესების, ფორუმების, საზაფხულო და ზამთრის სკოლების, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალის და სხვა) ორგანიზება, ჩატარება და მათში მონაწილეობის მიღება;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ორგანიზება, განხორციელება და მონაწილეობა;
- სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის, სახელმძღვანელოების, სალექციო კურსების, რიდერების ბეჭდური გამოცემების და ელექტრონული სალექციო და დამხმარე, სალექციო-სასწავლო მასალების გაცვლის სისტემის ორგანიზება;
- საბიბლიოთეკო ფონდებით და სხვა სასწავლო რესურსებით სარგებლობის უფლება ნაცვალგების პრინციპის დაცვით;
- საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან/და შეჩერების შემთხვევაში სტუდენტების მობილობის პროცესისთვის ხელშეწყობა და კრედიტების გამარტივებული წესით აღიარება;
- საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ცალკეული ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება.

2. საჭიროების შემთხვევაში, ამ მემორანდუმით განსაზღვრული ცალკეული ღონისძიებები განხორციელდება სპეციალური წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 3. მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზებას უზრუნველყოფენ ზემოაღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამისი ფუნქციონალური რგოლები და უფლებამოსილი პირები.

მუხლი 4. შეტყობინებები

1. მემორანდუმის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებში წარმოქმნილი ნებისმიერი ხელშემშლელი გარემოებების აღმოჩენის ან სხვა ხარვეზის შემთხვევაში დაუყონებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს, რომელიც ვალდებულია უმოკლეს ვადაში მოახდინოს რეაგირება ან წარმოუდგინოს მხარეს შესაბამისი განმარტება.

2. მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა მიერ გაგზავნილი კორესპონდენციები შედგენილ უნდა იქნეს წერილობით და გაიგზავნოს ელექტრონული ფოსტის, კურიერის ან დაზღვეული წერილის მეშვეობით. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღებისთანავე.

5. გამოყენებული სამართალი და დავების განხილვა

1. მემორანდუმი დადებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

2 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მემორანდუმის პირობებს განუხრელად დაიცავენ, ხოლო დავის შემთხვევაში საკითხს მოაგვარებენ მოლაპარაკების გზით.

6. მემორანდუმის ენა

მემორანდუმი შედგენილია საქართველოს სახელმწიფო ენაზე ორ ეგზემპლარად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე მემორანდუმში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

2. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია მხარეთა ხელმოწერისთანავე და მოქმედებს იმ ვადით, სანამ ერთ–ერთი მხარე წერილობით არ მოითხოვს მის შეწყვეტას.

3. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლის თითოეული ვარიანტი ინახება მხარეებთან.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი ს/კ: 204555524 მის: საქართველო, 0101, თბილისი, სამღერეთის ქ. N5ა ტელ:2660291 E-mail: info@gttu.edu.ge ----------	**შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებელი“** ს/კ: 404916203 მის: ქ.თბილისი, ჭყონდიდელის N26 ტელ: +995 592 11 11 00; +995 593 55 79 01 E-mail: info@newuni.edu.ge ----------
რექტორი /გიორგი მათიაშვილი/	რექტორი /თამარ გარდაფხაძე/